# ONCE AGAIN ABOUT THE DUAL PERSONALITY OF GRIGOL ORBELIANI

## კიდევ ერთხელ გრიგოლ ორბელიანის გაორებული პიროვნების შესახებ

**Nana Arakhamia**
Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University,
Tbilisi, A. Politkovskaia 61, 0186, Georgia,
+995 599 13 23 37, nanaarakhamia.sou@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-5980-2752

**Abstract.** Grigol Orbeliani is one of the distinguished figures in the 19th century's Georgian reality. The interest in him is stipulated by two circumstances: Grigol Orbeliani's literary heritage, as a remarkable Georgian romanticist and also his public activity as one of the most successful Georgian military servants. Our scientific interest in this article relates works of Grigol Orbeliani as a military servant that definitely made trace on his works as romanticist poet. This issue to present remains topical in the Georgian literary criticism that is being reviewed in various contexts. One part of scientific researchers considers that after the conspiracy by 1832, spiritually suppressed poet found relief in successful military career. It is to be noted that such a viewpoint is found itself in the life of poet, in the evaluations of contemporary citizens. The second part of researchers reject aforesaid, state that both the works and military career of romanticist poet was stipulated by one aspiration - maintenance of peace in the country and care for welfare. There is posed relevant question, what is truth; was indeed changed his recognition after defeat of conspiracy by 1832; we will try to answer exactly this (and other) question considering materials and epistolary heritage of writer around science. Grigol Orbeliani's letters mentioned in article, has proven Ilia Chavchavadze's (and other researchers') standpoint that we have to refer his letters for the review of Grigol Orbeliani's military career and works that is a certain key for exact provision of issues subject to analyzing.

**Keywords:** Grigol Orbeliani, Double Personality, Epistolary legacy.

**ნანა არახამია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო
+995 599 13 23 37, nanaarakhamia.sou@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-5980-2752

**აბსტრაქტი.** გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სინამდვილეში. მის მიმართ ინტერესს ორი გარემოება განაპირობებს: გრიგოლ ორბელიანის, როგორც შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა და ამავდროულად, მისი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი სამხედრო პირის საზოგადო მოღვაწეობა. წინამდებარე სტატიაში ჩვენი სამეცნიერო ინტერესის არეალი შემოიფარგლება გრიგოლ ორბელიანის, როგორც სამხედრო პირის მოღვაწეობით, რამაც უთუოდ დააჩნია კვალი მისი, როგორც რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებას. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ეს საკითხი დღემდე აქტუალურია და სხვადასხვა კონტექსტში განიხილება. მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ 1832 წლის შეთქმულების შემდეგ სულიერად დათრგუნულმა პოეტმა ერთგვარი შვება წარმატებულ სამხედრო კარიერაში პოვა. შევნიშნავთ, რომ ამ მოსაზრებას ვხვდებით პოეტის სიცოცხლეშივე, მის თანამედროვეთა

შეფასებებში. მკვლევართა მეორე ნაწილი კი, უარყოფს ზემოაღნიშნულს და ავითარებს აზრს, რომ რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებასაც და სამხედრო კარიერასაც ერთი სულისკვეთება განაპირობებდა - ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნება და ზრუნვა მის საკეთილდღეოდ. დაისმის რელევანტური კითხვა, თუ რა შეესაბამება სიმართლეს; მართლაც მოხდა თუ არა გარდატეხა გრიგოლ ორბელიანის ცნობიერებაში 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ; არის თუ არა გრიგოლ ორბელიანი გაორებული პიროვნება: ერთი მხრივ, გულმხურვალე პატრიოტი (რაც მისი შემოქმედებითაც დასტურდება) და მეორე მხრივ, პიროვნება, რომელმაც იმპერიასთან ურთიერთობაში შემგუებლურ პოლიტიკას მიანიჭა უპირატესობა. სწორედ ამ (და სხვა) კითხვებზე შევეცდებით პასუხის გაცემას ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული მასალებისა და მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინებით. სტატიაში მოხმობილმა გრიგოლ ორბელიანის წერილებმა, დაწერილმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიმართ, დაადასტურა ილია ჭავჭავაძის (და სხვა მკვლევართა) თვალსაზრისი, რომ გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერისა და მოღვაწეობის განსასჯელად მის წერილებს უნდა მივმართოთ, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ გასაღებს გასაანალიზებელი საკითხის მართებულად წარმოსაჩენად. გაანალიზებული მასალები ნათელი დასტურია, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და მისი სამხედრო მოღვაწეობა ერთი მთლიანი და სინთეზური შეზავებაა სამშობლოს ერთგულებისა და მის მიმართ ღირსეული სამსახურისა.

**საკვანძო სიტყვები:** გრიგოლ ორბელიანი, გაორებული პიროვნება, ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

**შესავალი.** გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სინამდვილეში. მის მიმართ ინტერესს ორი გარემოება განაპირობებს: გრიგოლ ორბელიანის, როგორც შესანიშნავი ქართველი რომანტიკოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა და ამავდროულად მისი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი სამხედრო პირის საზოგადო მოღვაწეობა. წინამდებარე სტატიაში ჩვენი სამეცნიერო ინტერესის არეალი შემოიფარგლება გრიგოლ ორბელიანის, როგორც სამხედრო პირის მოღვაწეობით, რამაც უთუოდ დააჩნია კვალი მისი, როგორც რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებას. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ეს საკითხი დღემდე აქტუალურია და სხვადასხვა კონტექსტში განიხილება. მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ 1832 წლის შეთქმულების შემდეგ სულიერად დათრგუნული პოეტმა ერთგვარი შვება წარმატებულ სამხედრო კარიერაში პოვა. შევნიშნავთ, რომ ამ მოსაზრებას ვხვდებით პოეტის სიცოცხლეშივე, მის თანამედროვეთა შეფასებებში. მკვლევართა მეორე ნაწილი კი, უარყოფს ზემოაღნიშნულს და ავითარებს აზრს, რომ რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებასაც და სამხედრო კარიერასაც ერთი სულისკვეთება განაპირობებდა - ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნება და ზრუნვა მის საკეთილდღეოდ. დაისმის რელევანტური კითხვა, თუ რა შეესაბამება სიმართლეს; მართლაც მოხდა თუ არა გარდატეხა გრიგოლ ორბელიანის ცნობიერებაში 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ; არის თუ არა გრიგოლ ორბელიანი გაორებული პიროვნება: ერთი მხრივ, გულმხურვალე პატრიოტი (რაც მისი შემოქმედებითაც დასტურდება) და მეორე მხრივ, პიროვნება, რომელმაც იმპერიასთან ურთიერთობაში შემგუებლურ პოლიტიკას მიანიჭა უპირატესობა. სწორედ ამ (და სხვა) კითხვებზე შევეცდებით პასუხის გაცემას ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული მასალებისა და მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის გათვალისწინებით.

**მეთოდები.** სტატიის წერის პროცესში მივმართავთ შედარებით-ტიპოლოგიურ მეთოდს, რადგან კვლევაში ჩვენი აზრის გასამყარებლად, რომ გრიგოლ ორბელიანის

მიმართ გამოთქმული ბრალდებები უსამართლოა, დაგვჭირდა, მასალათა მოხმობა მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან და, ამ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, ვახდენდით ჩვენი მსჯელობისა და დასკვნების ილუსტრირებას. ნაშრომში, ასევე, გამოვიყენეთ კომპარატივისტული მეთოდი ისტორიული მასალები, რომლითაც გაჯერებულია გრიგოლ ორბელიანის მიწერ-მოწერა რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსნებისადმი, ამ ისტორიული ფაქტებითა და მწერლის განცდებით წარმოვაჩინეთ გრიგოლის საზოგადოებრივი თუ პიროვნული გაორების მომენტების უარყოფა, რაც ორივე მეთოდის გამოყენების საფუძველზე, ცალსახად დადასტურდა.

**მსჯელობა.** პროფესორი ლადო მინაშვილი თავის ერთ-ერთ საინტერესო კვლევაში, რომელშიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობს, შენიშნავს: „არ შეიძლება მისი ბიოგრაფიის ეჭვით, ტენდენციურად ჩხრეკა და ამის პირდაპირ მიზნად ქცევა“ (მინაშვილი, 2009, გვ. 74) და უპირისპირდება მკვლევართა იმ ჯგუფს, რომელიც გრიგოლ ორბელიანს სამშობლოს მოღალატედ მოიაზრებს (მინაშვილი, 2009, გვ. 84-85). იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ პრობლემაზე, ზემოთ ნახსენები მონოგრაფიის გარდა, არსებობს სხვა ანგარიშგასაწევი კვლევებიც (იუზა ევგენიძის, ჯუმბერ ჭუმბურიძის და სხვ.) გასაანალიზებელი საკითხი მაინც დაინტერესებას იწვევს ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობით, რომელშიც გენერალ არღუთინსკისთან ერთად, გრიგოლ ორბელიანმაც მიიღო მონაწილეობა. ეს ფაქტი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დღემდე არაერთგვაროვნად მოიაზრება და პოეტის მიმართ გარკვეული ბრალდებების ინსპირაციის წყაროდ რჩება. გრიგოლ ორბელიანს მართლაც, ევალებოდა აჯანყების ჩახშობა, მაგრამ საინტერესოა მისი და იმდროინდელი ქართული საზოგადოების განწყობა, დამოკიდებულება ამ კონკრეტული ფაქტის მიმართ. არსებობს 1841 წლის 18 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ბიძისადმი, გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც სწორედ ამ აჯანყების ჩახშობაზეა საუბარი. ბარათაშვილის წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანს, თავის მხრივ, დისშვილისადმი მიწერილ წერილში ყურადღება გაუმახვილებია აჯანყების ჩახშობაში მონაწილე ქართველების სიმამაცეზე, რომელთაც მისი ქება დაუმსახურებიათ. ბარათაშვილიც არ მალავს აღფრთოვანებას ქართველი მეომრების მხრიდან გამოჩენილი სიმამაცის გამო. ვფიქრობ, ეს წერილი, გარკვეულწილად, ცხადყოფს იმდროინდელი ქართული საზოგადოების განწყობას (ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილისა მაინც); ის გარემოება, რომ გრიგოლ ორბელიანი მომხრეა აჯანყების ჩახშობისა, იმით აიხსნება, რომ მას, მსგავსად ქართული თავადაზნაურობის ერთი ნაწილისა, ვისაც გამოვლილი ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებისშემდგომი რეპრესიები, სჯეროდა, რომ ყოველგვარი ანტისამთავრობო გამოსვლა ქართველებისთვის მხოლოდ ზიანის მომტანი იყო. გრიგოლ ორბელიანი და სხვებიც, ვინც დაბრუნდნენ გადასახლებიდან, იძულებულნი იყვნენ, შეგუებოდნენ რუსეთის მმართველობას და თავისი სამშობლოს წინსვლის პერსპექტივა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მშვიდობიან (და არა საომარ) პირობებში ყოფნასა და განვითარებაში მოეაზრებინათ. სწორედ, ამ განწყობის ილუსტრირებას წარმოადგენს 1841 წლის ბიძა-დისშვილის ეპისტოლარული მიმოწერა გურიის აჯანყებასთან დაკავშირებით.

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისეული გზის, მისი ბიოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების გაცნობისას, ყურადღებას იქცევს ის მრავალრიცხოვანი სამხედრო ოპერაციები, რომლებსაც რუსეთის იმპერიის წარჩინებული სამხედრო მოხელე სხვადასხვა ქვეყანაში აწარმოებდა; ვგულისხმობთ 1854 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომს, თხუთმეტწლიან თავდაუზოგავ ბრძოლას დაღესტანში რუსული მმართველობის დასამყარებლად და სხვ. შევნიშნავთ, რომ არაერთი კრიტიკოსის მიერ ცალსახად

უარყოფითად, მწვავედ ფასდება გრიგოლ ორბელიანის საქმიანობა კავკასიის მთიანეთში; ჩნდება რელევანტური კითხვები და ეჭვები ქართველი სამხედრო დიდმოხელის ხელით „თავისუფლებისმოყვარე მთიელთა“ წინააღმდეგობის ჩახშობასთან მიმართებით. ამ სიტუაციაში, ვფიქრობთ, დროულია დიდი ილიას სიტყვების მოხმობა, რომ ლიტერატურის ისტორიკოსის ერთ-ერთი ამოცანაა, „მწერლის სულში და გულში ჩაგვახედოს“ და ეს დამყარებული უნდა იყოს „საბუთიანობაზე“. ამ საბუთთა შორის, წმინდა მხატვრულ ნიმუშთა გვერდით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მწერლის სულიერი ცხოვრების შესასწავლად მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობაა - „მიწერ-მოწერა... სხვადასხვა საზოგადო საქმეთა გამო“ და ეს „დიდ სახსარს აძლევს ისტორიკოსს“, რათა მან გადაგვიხსნას მწერლის შემოქმედებითი სამყარო.'' სწორედ, ილია ჭავჭავაძე გახლდათ ის პიროვნება, რომელიც პირველი შეეცადა გრიგოლ ორბელიანის, ერთგვარ, რეაბილიტაციას ამ უკანასკნელის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საფუძველზე; იგი აღნიშნავდა, რომ „გრიგოლ ორბელიანს აუარებელი წერილები და მიწერ-მოწერა დარჩა. არა გვგონია, რომ ჩვენში იმისთანა კაცი იყოს, რომ იმოდენა მიწერ-მოწერა ქონდეს, რაც გრიგოლ ორბელიანს ქონია..... ყოველივე ეს იმისთვისაა საჭირო, რომ სრული სახე დაგვანახოს გრიგოლ ორბელიანისა და იმის სულში და გულში ჩაგვახედოს“ (ჭავჭავაძე, 1991, გვ. 244)

ილიას ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისის კვალდაკვალ, უპრიანია მივმართოთ გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფს, ლიტერატურის ისტორიკოს იონა მეუნარგიას, რომელმაც პირველმა იზრუნა რომანტიკოსი პოეტისა და წარჩინებული სამხედროს პირის ეპისტოლარული მემკვიდრეობის თავმოყრასა და მოწესრიგებაზე. მისი ძალისხმევით აშკარად მოხიბლული დარჩა ილია ჭავჭავაძე, რაც წარმოჩინდა მის სტატიაში იონა მეუნარგიას ლექციებთან დაკავშირებით. თუმცა, იმის მიუხედავად რომ, ერთი მხრივ, ილიამ და, მეორე მხრივ, იონა მეუნარგიამ არგუმენტირებულად დაასაბუთეს, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და საზოგადოებრივი საქმიანობა ერთ მთლიანობად უნდა იქნეს აღქმული და გააზრებული, მაინც გამოითქმის დღემდე ბრალდებები გრიგოლ ორბელიანის მიმართ. ქვემოთ შევეცდებით ამ პრობლემის ჩვენეული თვალთახედვით წარმოჩენას გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობისა და ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის მასალობრივ გაშინაარსება-ანალიზის საფუძველზე.

იონა მეუნარგიას თანახმად, გრიგოლ ორბელიანის თავდადებული სამხედრო სამსახური რუსეთის იმპერიისთვის, იმავდროულად, საქართველოს საკეთილდღეოდ იყო მიმართული. აღნიშნულთან დაკავშირებით იგი წერს: „1852წ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ავადმყოფობის გამო ორბელიანი დანიშნულ იქნა, დროებით, კასპიის მხარეთა ჯარების მთავარსარდლად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ.... ორბელიანმა დრაკონების კანონი დასდო აბრაკების წინააღმდეგ, რომელნიც ამ დროს ხშირნი შეიქმნენ. უნდა დაექციათ სახლ-კარი აბრაკებისა და მათი ყოფა-ცხოვრება საზოგადოების სასარგებლოდ დარჩენილიყო, უნდა ამგვარი სასჯელი მიეყენებინათ იმათთვისაც, ვინც იმათ შემწეობას აღმოუჩენდა ან დამალავდა. გუბდენის სოფლის მოსახლეობისთვის, რომელთაც ძარცვა-მტაცებლობა გამართეს ამ დროს, ორბელიანი სწერდა ვორონცოვს: „თუ რომ გუბდენის მცხოვრები გონს არ მოვლენ, ნება მიბოძეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, ისე დავსაჯო, რომ შვილებმა მის უბის ნასახლარს ვეღარ მიაგნონ...“ (მეუნარგია, 1941, გვ. 71). მოყვანილი ამონარიდით აშკარად იკვეთება გრიგოლ ორბელიანის მტრული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრისადმი; იგი თვლიდა, რომ სხვა გზა არ იყო; მტერს მტრულად უნდა მოქცეოდა.

რაც შეეხება კავკასიის მთიანეთში გრიგოლ ორბელიანის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს (რომელიც, თავის მხრივ, მის მიმართ მწვავე განხილვისა და ბრალდებების მიზეზი შეიქმნა), შევეცდებით მეტი სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი წერილი კავკასიის მეფისნაცვლისა და განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალ

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (1856-1863), რომელიც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობას. შევნიშნავთ, რომ სწორედ მან შეიმუშავა ტაქტიკური გეგმა, რომლის მიხედვით მთიელთა დასახლებების პერიოდული დალაშქვრისას უნდა დამკვიდრებულიყვნენ ამ ტერიტორიაზე, რათა შეეკრათ სტრატეგიული რკალი. ზემოაღნიშნული წერილი სწორედ ამ პერიოდს მიემართება და გრიგოლ ორბელიანი ბარიატინსკის სთხოვს ბატალიონის დამატებას შამილის წინააღმდეგობის გასატეხად. აღნიშნული წერილის კომენტირებისას იონა მეუნარგია შენიშნავს: „თუ ასე არ მოიქცევა მაშინ, შამილი შევიდოდა ყითარაღში და ტაბასარანში და იქიდან მუსრს გაავლებს ყველაფერს... ვინ არ შეუერთდებოდა შამილს, რომ დაეჭირათ შურა, პეტროვსკი, დერბენდი, ყურა და შემდეგ თვით თბილისი. მერე სპარსეთი? განა სპარსი არ მოინდომებდა დაებრუნებინა უკანვე წართმეული პროვინციები? ვინ მოითვლიდა ყველა უბედურებას? ....ამიტომ სთხოვდა ბარიათინსკის ნუ დაღუპავს მხარეს... არ გაეუქმებინა დაღესტანი. გრ. ორბელიანის აზრით, რუსეთის არმიის საქმეს არავითარი ცვლილება არ მიეცემოდა და კავკასიაში მშვიდობა კი იქნებოდა დაცული...საბედნიეროდ, კავკასიის იღბალზე, დაღესტანის დაცლა არ მოხდა“ (მეუნარგია, 1941, გვ. 72-73).

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი წერილი ადასტურებს, რომ გრიგოლ ორბელიანი ამ შემთხვევაშიც, მისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედებდა; მისთვის მთავარი იყო კავკასიაში სტაბილური ვითარების შენარჩუნება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა მის სამშობლოში მშვიდობასა და კეთილდღეობას. ამავე თვალსაზრისით, კიდევ უფრო მრავლისმთქმელად მიგვაჩნია გრიგოლ ორბელიანის წერილი კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვისადმი (1844-1854), როდესაც ამ უკანასკნელმა დატოვა საქართველო.[1] გრიგოლი სწერს: „თქვენი უგანათლესობის საქართველოდან წაბრძანებამ ქვეყანა მწუხარებით მოიცვა... ათი წლის განმავლობაში თქვენს მიერ ბრწყინვალედ ქვეყნის მართვა-გამგეობამ მიაჩვია ხალხი მშვიდობიანობისა თუ ომიანობის დროს თავის კეთილმოქმედ გენიად ჰყოლოდით დასახული... სიტყვისა თქვენისა აღსდგა იგი, ზნეობრივად განახლდა და გონებრივად თუ ნივთიერად აყვავების გზაზე სწრაფის ნაბიჯით იწყო სვლა. პატიოსანსა და კეთილზნეობრივს, ტკბილ ცხოვრებას მივეწიეთ... დეე, სდუმდეს ისტორია. ხალხი არასოდეს არ გაჩუმდება და მუდამ კურთხევით მოიგონებს თქვენს სახელსა.“ (მეუნარგია, 1941, გვ. 74). როგორც ვხედავთ, ვორონცოვისადმი გამოსამშვიდობებელი წერილი სავსეა მადლიერების გრძნობით ქვეყანაში დამყარებული მშვიდობისა და აღმავლობის გამო. სწორედ, რომ ამ ორი პრინციპისათვის არ უღალატია გრიგოლ ორბელიანს და თავის სამხედრო კარიერასაც იგი თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართავდა; ამგვარად, რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაც და სამხედრო კარიერაც ერთსა და იმავე სულისკვეთებას ემსახურებოდა. ამ თვალსაზრისს ამყარებს ქვემოთ მოყვანილი არგუმენტებიც.

საყოველთაოდ ცნობილია შამილის მიერ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის, დავით ჭავჭავაძის წინანდლის მამულის დარბევისა და ოჯახის წევრების ტყვედ აყვანის შესახებ, რომლებიც შამილს მიჰგვარეს დარგოში. მომხდართან დაკავშირებით გრიგოლ

[1] შევნიშნავთ, რომ მიხეილ ვორონცოვის არაორდინარული პიროვნება ქართული საზოგადოებაში იმთავითვე განსხვავებულ შეფასებებს იმსახურებდა; ზოგისთვის ის „ყველაზე წესიერი რუსი“ იყო, საქართველოზე მზრუნველი მეფისნაცვალი, რომლის მოღვაწეობას უკავშირდება თბილისში გაზეთების - „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ და „კავკაზი“ - გამოცემა, რუსული და ქართული თეატრების, ასევე ოპერის გახსნა (იტალიიდან მოწვეული საოპერო დასით); წმინდა ნინოს სასწავლებლის დაარსება, საჯარო ბიბლიოთეკისა და ფრანგული წიგნის მაღაზიის გახსნა; მტკვარზე ხიდების გადება, საცხოვრებელი სახლების, ფაბრიკა-ქარხნების აშენება, რასაც მოყვა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება და სხვ. გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, ცალსახად დადებით დამოკიდებულებას აფიქსირებს ამ პერსონის მიმართ აკაკი („ჩემი თავგადასავალი“, „ქართული ფულის თავგადასავალი“ და სხვ.) თუმცა, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქართველთა ერთი ნაწილი მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას საქართველოში ფარისევლობად აფასებდა; მაგ., ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი (იხ. ელექტრონული მისამართი:http://www.renomecenter.com/ka/stories/62/.

ორბელიანის განცდები კარგად ჩანს დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილ წერილში, ,,მეტად შეწუხებული ვარ და ეს უფრო მტანჯავს, რომ ჩემი მწუხარება უნდა შეძლებისამებრ დავმალო და არ უჩვენო არცა ჯარს და მეტადრე არცა იქაურთა მცხოვრებთა , რომელნიცა შემომცქერიან და უნდა შემატყონ ...მწუხარება რაიმე,მაგრამ არ გავახარებ არავისა!'' (მეუნარგია, 1941, გვ. 76) არსებობს მეორე წერილი მიწერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი, სადაც უფრო გამძაფრებულია გრიგოლ ორბელიანის განცდები :,,თუ შეგეტყოს რამე ამა უბედურთათვის, შემატყობინე, ნურას დამიმალავ ; მე დიდხანს გამზადებული ვარ ყოვლისა უსაზარლეს შემთხვევისთვის. აღსრულდეს ნება ღვთისა'' (მეუნარგია, 1941, გვ. 76). ამ წერილებს იონა მეუნარგიამაც არ აუარა გვერდი. მიმოწერებში გამოსჭვივის პოეტის დიდი გულისხმევა და სურვილი, როგორმე დაეხმაროს ტყვეობაში მყოფთ და გაუგზავნოს საჭირო ნივთები დატყვევებულთა გამო გრიგოლ ორბელიანის სულიერი განცდები ასევე კარგად ჩანს ბარონ ნიკოლაის, მიხეილ ვორონცოვის, და თვით შამილის მიმართ მიწერილ წერილებში. 1855 წელს პოეტი წერს ფლიგელ ადიუტანტ ბარონ ნიკოლაის: „სულმოკლეობამ შემიპყრო, თუმცა დიდადა ვცდილობ ვძლიო როგორმე ეს ჩემი მწუხარება. მეგონა აქამდისინ, რომ სიმტკიცეს ჩემი სულისას ვერავითარი უბედურება ვერ შეარყევდა ... მაგრამ ამჟამად პირდაპირ სულს დაუსვი ლახვარი, არ შემიძლიან ავიტანო, განსაცდელი ეგრე მძიმეა მეტად.“ (მეუნარგია, 1941, გვ. 76). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ორბელიანმა შამილსაც მისწერა წერილი, რომელიც საყურადღებოა არა მხოლოდ მისი შინაარსობრივი მხარის, არამედ წერილის ავტორის მთიელებთან დიალოგის წარმართვის დიპლომატიური ნიჭის გამოც. როგორც ცნობილია, მოლაპარაკებებმა ტყვეთა გაცვლის შესახებ საკმაოდ დიდხანს გასტანა და იმით დასრულდა, რომ შამილმა თავისი ვაჟი (რუსების მიერ ტყვედ წაყვანილი პირველი კავკასიური კამპანიის ზავის დროს) დაიბრუნა და მოთხოვნილი 40 ათასი მანეთიც მიიღო; თუმცა, მას ომი მაინც არ შეუწყვეტია და 1855-1856 წლები გრიგოლ ორბელიანმაც ლეკებთან დაუცხრომელ ბრძოლაში გაატარა. ამ დაპირისპირების სიმძაფრეს ცხადყოფს გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში დაცული ყაფლან ორბელიანისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ავტორი წერს: „შამილიც იყო აქ დიდის ჯარითა, ქურდსა ვით ტყეში იდგა... და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდან, იმდენჯერ დამცირებული, ცხვირ-პირ ჩამომტვრეული მორბოდა. 24 ივნისს ვეება ხევი ავავსე იმათი დახოცილებითა. ისინი ნაომნი და მრავალნი მწიგნობარნი სულ შტიკზე ავაგებინე... ამის გარდა, პირველ აგვისტოს დავამარცხეთ. 12 დავიჭირეთ და ბევრი დავხოცეთ. დღეგრძელობა შენ გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე“ (მეუნარგია, 1941, გვ. 83).

პოეტის ბიოგრაფიულ დოკუმენტებში ფიქსირდება ფაქტი 1857 წლის 10 ნოემბერს მისთვის გენერალ-ადიუტანტის წოდების მინიჭების შესახებ; ასევე ცნობილია, რომ ალექსანდრე ბარიატინსკიმ თავად მიულოცა მას ხელმწიფის ჯილდო ,,აღარ მაცდით თითქმის გონს მოვიდე, უპატივისცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ, ისევ თავბრუს მახვევთ თითქმის ყოველდღე თქვენი ბრწყინვალე და ჩინებულ გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდიგერებს ხელმწიფე იმპერატორისთვის წარსადგენად, რომელიც ეჭვი არ არის, მოხარული იქნება თავის ახალ გენერალ-ადიუტანტის წარმატებისა (მეუნარგია, 1941, გვ. 84). ამ ფაქტმა გამოიწვია მძაფრი პოლემიკა და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერასთან მიმართებით; კერძოდ, ზოგიერთმა ეს ფაქტი აღიქვა, როგორც რუსეთის სამსახურში მყოფი სამხედრო პირის მორიგი დაწინაურება თავისუფლებისმოყვარე კავკასიელ მთიელთა ინტერესების უგულვებელყოფის ხარჯზე, რასაც ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ,,რ. ურუშაძეს მიაჩნია, რომ გრიგოლის ,,ხელით იხშობოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი საქართველოსა და კავკასიაში'' (ურუშაძე, 1998). ჩვენ გავიზიარებდით, იონა მეუნარგიას აზრს, რომ ყველა ბრძოლა, რომელსაც რუსი სამხედროს სახელით აწარმოებდა ქართველი პოეტი შამილის

წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი, 1857 წლისას, მიემართებოდა „კახეთის სისხლის აღებას“. რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანის სულიერი გაორების საკითხს (რომ იგი მხატვრულ შემოქმედებაში და სამხედრო სამსახურში ურთიერთგამომრიცხავი აზროვნების ადამიანია), არც ამას გავიზიარებდით; ნაწილობრივ მისაღებია მხოლოდ მოსაზრებები, ერთი მხრივ, სასტიკი, დაუნდობელი და, მეორე მხრივ, გულჩვილი, მგრძნობიარე გრიგოლ ორბელიანის შესახებ. აღნიშნული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მწერლის წერილი ძმასთან; პოეტი წერს: „მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა - მოწყალება, მას უკანაც სიმართლე და ამით ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი“ (მეუნარგია, 1941, გვ. 81). მაგრამ ამ დევიზის მქონე პიროვნება ომის რეჟიმში კარდინალურად იცვლებოდა; თავადაც აღიარებდა წერილებში ომის დროს გამოჩენილ სისასტიკესა და უღმერთობაზე... თუმცა, პოეტის ბიოგრაფის მიერ მოყვანილი ფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, როცა გრიგოლ ორბელიანი დანიშნეს შერაში არღუთინსკის ნაცვლად, რომელიც სიფიცხით გამოირჩეოდა, თანამოსამსახურეებმა მას უსაყვედურეს გულჩვილობა, ხასიათის სისუსტე და გააფრთხილეს, რომ ლეკების მორჯულებას ამგვარად ვერ შეძლებდა.

როგორც ცნობილია, 1842 წელს გრიგოლ ორბელიანი ავარიის (დაღესტნის) მიწებს იცავდა შამილის რაზმებისგან; მისი ენერგიული სამხედრო ქმედებებისა და ნიჭის წყალობით 1843 წელს იგი ავარიის მმართველად (როგორც თავად ამბობდა, „ავარიის ხანად“) დაინიშნა და ხუნძაში, ავარიის ყოფილი ხანების რეზიდენციაში დაიდო ბინა. დაიწყო თხუთმეტწლიანი თავდაუზოგავი ბრძოლა დაღესტანში, რომელიც 1857 წელს დასრულდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის - ძველი და ახალი ბურთუნაის - აღებით. ცალსახაა, რომ ეს გახლდათ გრიგოლ ორბელიანის პასუხი იმ თავზეხელაღებულობასა და სისასტიკეზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თან ახლდა დაღესტანელთა მხრიდან ქართლ-კახეთის დარბევას. ამგვარად, ზემოთ გაანალიზებული გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც დიდი რუდუნებით შეკრა და მონოგრაფიად გამოსცა მისმა პირველმა ბიოგრაფმა, იონა მეუნარგიამ, გარკვეულწილად, იძლევა პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერას უკავშირდება. ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული უნდა გახდეს ამოსავალი იმ მკვლევართათვის, რომლებიც გამორჩეული პოეტისა და მამულიშვილის საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებენ და მიზნად მის გაკიცხვას ისახავენ; პირიქით, არსებული მასალები ამყარებენ იმ თვალსაზრისს, რომ გრიგოლ ორბელიანი, როგორც პოეტი და როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მონოლითური პიროვნება გახლდათ და მისი ინტერესები მუდამ სამშობლოს კეთილდღეობაზე იყო მიმართული.

ჩვენი კვლევისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია 1877 წელს გრიგოლ ორბელიანის მიერ სალომე მიურატისადმი მიწერილი კერძო ბარათი, რომელიც მოყვანილია პროფესორ იუზა ევგენიძის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „გრიგოლ ორბელიანი“. მასში იმდენად ნათლად გამოსჭვივის გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული გრძნობების სიმძაფრე, რომ იგი ცალსახად პასუხობს ღვაწლმოსილი მამულიშვილის მისამართით უადგილოდ დასმულ კითხვებსა და ბრალდებებს: „ვიყავ გაჩუმებული შიშისგან და აღარ მქონდა თავი არც წერისთვის და არცა, თუ სხვა რაიმე ფიქრისთვის, ვიდრე ყოვლადმოწყალე ღმერთმან არ მოჰსცა ძლევა ჩუენს ჯარსა და მრთლად არ შემუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩუენნი, ჩუენის საქართველოსა, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალოსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის ჩუენს სისხლის ვალსა. ათასი წელიწადნი ებრძოდნენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოსა, რათა? რას ვართმევდით? მართალია ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცთუ თვითონ გაიხარეს. ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსელებს ერევანი, ნახჩევანი, ყარაბაღი, თალშის სახანო, შაქი-შირვანი, ბაქუ... ოსმალებსა ახალქალაქი და ახალციხე და მესამედ ართმებს ყარსსა. აქადან დაინახავთ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩუენნი. ო,

როგორ ძვირფასია ქართველების წმინდა სისხლი“ (ევგენიძე, 1995, გვ. 41-42). ვფიქრობ, ამ წერილში მძაფრად არის ილუსტრირებული სამშობლო ქვეყნის მძიმე ხვედრით გამოწვეული გულისტკივილი; იმ პიროვნების განცდები, რომელიც ილიამ დაახასიათა, როგორც „საქმით წმინდა, გულმხურვალე, სიტყვატკბილი, ჭკვამახვილი“. სრულიად სამართლიანია იუზა ევგენიძის შენიშვნა, რომ „დიდი ილიას მოსაზრებათა ექო - პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით აისახება შემდგომი თაობის ლიტერატორთა ნააზრევში“ (ჭავჭავაძე, 1991, გვ. 194).

აქვე შევნიშნავთ, რომ დღემდე სადავოა ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთდამოკიდებულების თემა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოიაზრება თაობათა შორის დაპირისპირებად. აღნიშნული თემა სცილდება წინამდებარე სტატიაში დასმულ საკითხებს; ამდენად, შემოვიფარგლებით ილიას მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მხოლოდ რამდენიმე შეფასებითა და შენიშვნით. „ძლევის ყიჟინით, ძირს დასცეს ყარსი“... ერთი პირველთაგანი შეიჭრა მტრის სანგრებში, იმავე წელს... რუსეთის ჯარები ზედიზედ იღებენ ახალქალაქს, ხერთვისს, ახალციხეს... პორუჩიკი ორბელიანი აქაც ბრძოლის ქარცეცხლშია და რაღაც სასწაულით ყოველთვის უვნებელი რჩება. ე. მაღრაძე თავის ვრცელ მონოგრაფიაში ,,გრიგოლ ორბელიანი'' წერს:...,,ილიას მჭერმეტყველური სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავავრცელოთ თურქთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებზე და მათ შორის პორუჩიკ გრიგოლ ორბელიანზე'' (მაღრაძე, 1975, გვ. 33) ი. ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში პერიოდულად უბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანზე, მის ღვაწლზე საუბარს; მაგ., 1883 წლის აგვისტოში „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსჭვალა იგი, თითქო ერთი კაციაო,- მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი, თუ არა იმან, რომ იგი იყო თავის დაჩაგრულის მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამომხატველი, „დროთა კვლავ დაბრუნებისათვის ზეშთაგონებული... ჩვენი ხალხი იდეას სცემდა პატივს, აზრს მამულიშვილობისას, რომლის მტვირთველი და მატარებელი იყო გრიგოლ ორბელიანი მე-30 წლიდამ, ვიდრე ჩვენს დრომდე“ (ჭავჭავაზე, 1955, გვ. 280). აქვე ილია ეხება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ეროვნულობის საკითხს და მის დიდ დამსახურებად მიაჩნია „დაძინებული ქართველი გონების“ გამოფხიზლება. 1892 წელს „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ილია კვლავ უბრუნდება საუბარს პოეტზე; მიმოიხილავს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას და აღნიშნავს: „მიგვახედა ჩვენს მიერ დავიწყებულ წარსულს... რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხმოუკიდებელი“. ილიასეული დასკვნა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაზე გახლავთ „ერთგულება და სარწმუნოება“, „ვაჟკაცობა და მამაცობა“ (ჭავჭავაძე, 1953, გვ. 209).

ცალსახად ვიზიარებთ ილიას თვალსაზრისს გრიგოლ ორბელიანთან მიმართებით და მიგვაჩნია, რომ „მისი სიტყვაც თვითონ საქმეა“, „მოძღვარი ჩვენი“, „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულისა ენისა“ და სხვ.; ამდენად, გაზიარება იმ მოსაზრებისა, რომ გრიგოლ ორბელიანი, თავისი სამხედრო კარიერით, აცდენილია მისსავე ღრმად პატრიოტულ შემოქმედებას, სრულიად არამართებულად და დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. კვლავ დიდ ილიას მივმართავთ არგუმენტების გასამყარებლად: „ათასში ერთმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული შინ, გარეთ, სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში, მახლობელთა შორეულთა და მეგობართა შორის, რა გრძნობის, რა აზრის კაცი იყოო...საბუთიანად ვიცოდეთ, ჩვენის თვალით ვნახოთ, ჩვენის ყურით გავიგონოთ რა საგანი ჰქონდა ცხოვრებისა ჩვენს გამოჩენილ კაცს, რა ნაღველი უტარებია გულში, რა იმედი და ნუგეში დაუგდია ჩვენთვის, ჩვენს ავსა და კარგს როგორ გასძღოლია და ჩვენი ავი და კარგი როგორ აღბეჭდვია, როგორ ჩაჭედვია გულში, ამისთანა კაცის ისტორია, ხომ ჩვენი საკუთარი ისტორიაა“ (ჭავჭავაძე, 1991, გვ. 412-413).

**დასკვნები.** ამგვარად, ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი გრიგოლ ორბელიანის წერილები, დაწერილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიმართ, ადასტურებს ილია ჭავჭავაძის მართებულ მსჯელობას, რომ გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერისა და მოღვაწეობის განსასჯელად მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას უნდა მივმართოთ. ეს წერილები არის გასაღები იმ თემების მართებულად წარმოსაჩენად, რომელიც დღემდე საკამათოა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. ზემოაღნიშნული წერილების გაცნობა და ანალიზი არ ტოვებს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ დიდი მამულიშვილის ქვეყნისადმი სიყვარულსა და თავდადებაში. გაანალიზებული მასალები ნათელი დასტურია, რომ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და მისი სამხედრო მოღვაწეობა ერთი მთლიანი და სინთეზური შეზავებაა სამშობლოს ერთგულებისა და მის მიმართ ღირსეული სამსახურისა. ქართული გულით და საქართველოსთვის კეთილი საქმეების სურვილით, ემსახურებოდა ღირსეული მამულიშვილი რუსეთის იმპერიას და არავინ იცის, კიდევ, რა ხდებოდა მის სულიერ ლაბირინთებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ევგენიძე, ი. (1995). *გრიგოლ ორბელიანი.* თბილისი: თსუ.
მაღრაძე, ე. (1975). *გრიგოლ ორბელიანი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
მეუნარგია, ი. (1941). *ქართველი მწერლები.* თბილისი: საქართველოს ცენტრალური კომიტეტის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურული გამომცემლობა.
მინაშვილი, ლ. (2009). *ლიტერატურული ნარკვევები.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
ურუშაძე, რ. (1998). მუჭში მომწყვდეული წყალივით. *თვალთაი.* #16.
ჭავჭავაძე, ი. (1955). *თხზულებათა სრული კრებული.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ჭავჭავაძე, ი. (1953). *თხზულებათა სრული კრებული.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.
ჭავჭავაძე, ი. (1991). *თხზულებანი.* თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

**REFERENCES:**

evgenidze, i. (1995). *grigol orbeliani [Grigol Orbeliani].* Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
maghradze, e. (1975). *grigol orbeliani [Grigol Orbeliani].* Tbilisi: Publishing House “Sabchota Sakartvelo”.
meunargia, i. (1941). *kartveli mts'erlebi [Georgian writers].* Tbilisi: The literary publishing house of the Central Committee of Georgia for children and youth.
minashvili, l. (2009). *lit'erat'uruli nark'vevebi [Literary researches].* Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
urushadze, r. (1998). much'shi momts'qvdeuli ts'qalivit. *tvaltai [Tvaltai].* #16.
ch'avch'avadze, i. (1955). *tkhzulebata sruli k'rebuli [The complete collection of works].* Tbilisi: Publishing House “Sabchota Sakartvelo”.
ch'avch'avadze, i. (1953). *tkhzulebata sruli k'rebuli [The complete collection of works].* Tbilisi: Publishing House “Sabchota Sakartvelo”.
ch'avch'avadze, i. (1991). *tkhzulebani [Works].* Tbilisi: The institute for Georgian Literature.